სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნანა გოგოლაძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 17.09.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ნანა გოგოლაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ნანა გოგოლაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ნანა გოგოლაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

კანდიდატი **ნანა გოგოლაძე** არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა და გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. მხოლოდ ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებად და ნაკლოვანებებად უთითებს, რომ საჭიროებს მეტ აქტიურობას.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, **ნანა გოგოლაძე** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ნანა გოგოლაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

ნანა გოგოლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 12.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ნანა გოგოლაძეს აქვს ადმინისტრაციული სამართლის მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, რომელსაც მაღალ დონეზე იყენებს პრაქტიკაში. საქმის დეტალურად გაცნობის შემდეგ, ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხს ხსნის სწრაფად და კონცენტრირებულად. შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება. წერს მხარისთვის გასაგებ ენაზე. მაღალ დონეზე ფლობს თეორიულ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და საქართველოს უზენაესი და საკოსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს. სემინარული მუშაობისას გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და კვალიფიციურად. სტაჟირების პერიოდში მან თავი გამოიჩნა, როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა. არის ძალიან ტაქტიანი და არასდროს გასცდენია ეთიკის ნორმებს. ასევე, არის ორგანიზებული და ეფექტურად ანაწილებს დროს. *სამოქალაქო სამართალში*

კანდიდატს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც გამოვლინდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისას და სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების შედგენისას. მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკაშიც. სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს ზეპირი გადმოცემის უნარები. *სისხლის სამართალში* ნანა გოგოლაძის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მის მიერ შესრულებული სამუშაო გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

ნანა გოგოლაძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, მუშაობდა როგორც თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, ასევე საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სხვადასხვა თანამდებობებზე. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა სამართლებრივი დასაბუთების საკმაოდ მაღალი შესაძლებლობებით, აქვს სამართლებრივი ნორმების ანალიზისა და განმარტების უნარი.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სმართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ნანა გოგოლაძეს გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ამასთან, მისი მსჯელობა ყოველთვის არის არგუმენტირებული. კანდიდატი საჯარო

მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. იგი გასაგები ენით გადმოსცემს პრობლემურ საკითხებს და სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს მათ. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 17 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის შრომისმოყვარე, სამართლიანი და მიზანდასახული პიროვნება. მას აქვს ყველა ის თვისება რაც სჭირდება მოსამართლეს, არის მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, კეთილსინდისიერი, მედეგი და წვრთნაზე ორიენტირებული.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ნანა გოგოლაძე მუდმივად ცდილობს განვითარდეს და ყოველთვის ეცნობა სამართლებრივ სიახლეებს.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2022 წელს ჩაბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი;
- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ნანა გოგოლაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მონაწილეობას იღებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, სადაც ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

<u>ნანა გოგოლაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი;
- საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო - 2018 წელი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) - 2021 წელი;
- სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნანა გოგოლაძე** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ნანა გოგოლაძე <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 87 (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი